



ქართული ენა და ლიტერატურა - VII კლასი

(30 ქულა)

(10 ქულა) 1. ყურადღებით წაიკითხეთ რევაზ ინანიშვილის ნაწარმოების ადაპტირებული ვერსია და შეასრულეთ დავალებები.

მეიარაღის გოგონას ამბავი

დიდი, დიდი ხნის წინათ, ერთ ქალაქში ერთი მეიარაღე ცხოვრობდა. ამ მეიარაღეს ყველანი უბედურ მეიარაღეს ეძახდნენ და ჩვენც ასე დავუძახოთ. უბედური კი იმის გამო იყო, რომ ულამაზესი მეუღლე ჰყავდა და მოუკვდა. დარჩა ერთადერთი გოგონა.

მეიარაღე დილით უთენია მიდიოდა სახელოსნოში და საღამოს გვიან ბრუნდებოდა. სახელოსნოში ბასრ ხმლებსა და შუბებს აკეთებდა კბილების კრაჭუნითა და მუქარით, რადგან იცოდა, რომ ამ ხმლებსა და შუბებს მყვირალა მეომრები დაიჭერდნენ ხელში, შესხდებოდნენ ცხენებზე, შეესოდნენ მეზობელი ქვეყნის ადამიანებს და მარტო ის აღარ იქნებოდა უბედური, უბედურები გახდებოდნენ სხვებიც, მარტო მე რატომ უნდა ვიყო ასე, დაე, ქვეყნად სხვებმაც იგემონ, რა არის უბედურებაო და მთელ დღეს თავაუღებლივ, გაცხარებით მუშაობდა.

ერთ დღეს, როდესაც უბედურმა მეიარაღემ დილაადრიან გაიღვიძა, რომ მაშინვე თავის სახელოსნოში წასულიყო და იქ ბასრი ხმლები და შუბები ეკეთებინა, განთიადის მქრქალ ცისფერ შუქზე ასეთი რამე დაინახა: ოთახის შუაგულში მისი გოგონა იდგა, უკვე დიდი იყო და თავის ლამაზ დედას ჰგავდა. ხელში ყვავილები ეკავა და ლარნაკში აწყობდა.

უბედური მეიარაღე გამტერებული იყო. მას უკვირდა. ჯერ ერთი, ის უკვირდა, რომ მისი გოგონა ასე უეცრად გაზრდილიყო, მეორე კიდეც, ყვავილები ასეთი ლამაზები რომ იყვნენ! ისინი, ის ყვავილები, სხვა დროსაც ენახა იმ ველებში, მაგრამ არც უბედურ მეიარაღეს და არც იმ მეომრებს ფიქრად არასოდეს მოსვლიათ, თუ შეიძლებოდა, რომ ყვავილები ასეთი ლამაზები ყოფილიყვნენ. მეომრები ყვირილითა და ხმლების ქნევით აჭენებდნენ ცხენებს, ყვირილისა და ხმლების ქნევის დროს კი, ყველასათვის ცნობილია, დაკვირვების უნარი ერთმევა ადამიანს.

მეიარაღე სახელოსნოში იმ დღესაც ხმლებსა და შუბებს აკეთებდა, მაგრამ ისეთი სიჯიუტით ვეღარ აკეთებდა, როგორც სხვა დროს. თვალწინ სულ თავისი გოგონა და ლარნაკში ჩადგმული ყვავილები ედგა, გული სულ მათკენ მიუწევდა და საღამოს, მზეს არც კი აცალა ჩასვლა, სახელოსნო დაკეტა, ჩქარი ნაბიჯით გასწია შინისაკენ და თავისი სახლის კარი სწორედ მაშინ შეაღო, როცა მისი გოგონა ლარნაკში ჩადგმულ ყვავილებს წყალს უცვლიდა.



მეიარაღემ რაღაც უცნაური იგრძნო. ეს თითქოს სინათლე იყო, სინათლე კი არა, სითბო იყო, სიწყნარე იყო, სურნელება იყო ერთდროულად. თითქოს დაბრუნებულიყო ის უნეტარესი რაღაც, რომელიც საყვარელი მეუღლის აქ ყოფნის დროს ხდებოდა ხოლმე შინ და უბედურ მეიარაღეს პირველად გაეღიმა ცოლის სიკვდილის შემდეგ.

მისმა გოგონამ იმავე წამს შეამჩნია ეს ღიმილი. ნელი, მაგრამ გაბედული ნაბიჯებით წავიდა მისკენ, მივიდა სულ ახლოს, ოქროსთმიანი პატარა თავი ვეება მკერდზე მიადო და დაბლიდან შესცინა.

და ამ დღიდან ასე იყო: მეიარაღის გოგონა უთენია მიდიოდა ქალაქგარეთ, კრეფდა სხვადასხვაფერ ყვავილებს და მკერდზე მიხუტებულები მოჰქონდა შინ. სახლი ივსებოდა ენით გამოუთქმელი სიწყნარით, სითბოთი, სინათლითა და სურნელებით. მეიარაღე უბედურად აღარ გრძნობდა თავს. ის უკვე ბედნიერი მამა იყო და უნდოდა, რომ სხვებიც ბედნიერები ყოფილიყვნენ ქვეყანაზე. დაანება ხმლებისა და შუბების კეთებას თავი, სხვადასხვაფერი ლითონებისაგან გამოჰქედა დიდი, დიდი ყვავილი, მიაჰქედა სახელოსნოს კარს მაღლა და საოჯახო ნივთებისა და სამკაულების კეთებას მოჰკიდა ხელი.

ხალხს უკვირდა მისი ასეთი ფერისცვალება, ჩუმ-ჩუმად ადევნებდნენ თვალს, ნეტავ რა მოხდაო. და აი, ნახეს, რომ მეიარაღის ლამაზი გოგონა უთენია გადის ქალაქგარეთ, იქ სხვადასხვაფერ ყვავილებს კრეფს, მოაქვს შინ, აწყობს ლარნაკში, უსხამს წყალს და მეტი არაფერი! უთუოდ ჯადოსნური ძალა აქვთ ამ ყვავილებსო, - იფიქრეს ქალებმა და გადაწყვიტეს, თვითონაც გამოეცადათ მათი ძალა. თვითონაც დაკრიფეს სხვადასხვაფერი ყვავილები, მოიტანეს შინ და ნახეს, რომ მათი სახლებიც აივსო რაღაც სინათლით, სიწყნარითა და სითბოთი. მეიარაღეებმა მახვილების ჰედვას თავი ანებეს და საოჯახო ნივთებისა და სამკაულების კეთებას შეუდგნენ. მყვირალა მეომრები დაჩუმდნენ, ხმლები ქარქაშებში ჩააგეს, დაკვირვების უნარი დაუბრუნდათ.

და ცხოვრობდა ხალხი მშვიდად, ბედნიერად, მხიარულად, მეიარაღის ლამაზი გოგონას წყალობით, უფრო სწორად, ყვავილების სილამაზის წყალობით, რომლებსაც მიწა აღმოაცენებდა, ქალები კრეფდნენ, მოჰქონდათ შინ და იქ ლამაზი თითებით აწყობდნენ ლარნაკებში.



(1 ქულა) 1. რა მიზნით აკეთებდა მეიარაღე ხმლებსა და შუბებს ასეთი მონდომებით?

(1 ქულა) 2. რატომ ვერ ამჩნევდნენ მეომრები ყვავილების სილამაზეს?

(1 ქულა) 3. რატომ კრეფდა მეიარაღის გოგონა ყვავილებს ყოველ დილით?

(1 ქულა) 4. მერვე აბზაციდან ამოიწერეთ წინადადება, რომელშიც ჩანს, რომ მეიარაღეს შეეცვალა დამოკიდებულება ხალხის მიმართ.

(6 ქულა) 5. გააანალიზეთ ტექსტი მოცემული მითითებების დახმარებით:

- აღწერეთ მეიარაღის ემოციები, როდესაც ის შუბებსა და ხმლებს აკეთებს.
- აღწერეთ მეიარაღის ემოციები ყვავილების სილამაზის აღმოჩენის შემდეგ.
- იმსჯელეთ, რატომ ხდება პირადი უბედურება ზოგჯერ ადამიანის გაბოროტების მიზეზი?
- იმსჯელეთ, როგორ ახერხებს სილამაზე ადამიანში სიკეთის გაღვივებას?



➤ თქვენ როგორ შეაფასებდით ამ ნაწარმოებს?

(10 ქულა) 2. ქვემოთ მოცემულ წინადადებებში დაშვებულია 10 შეცდომა კუმშვადი, კვეცადი და კუმშვად-კვეცადი არსებითი სახელების დაწერილობაში. იპოვეთ შეცდომით დაწერილი სიტყვები და გადაიწერეთ სწორი ფორმით წინადადებების ბოლოს. ერთ წინადადებაში დაშვებულია მხოლოდ ერთი შეცდომა.



1. მასწავლებლის ნათქვამმა ბავშვი დააინტერესა. _____
2. პერსონაჟმა აღმოაჩინა, რომ შორეული ქვეყანის უფლისწულია. _____

3. მეფეს დარბაზთან კარისკაცები იდგნენ. _____
4. სამი დღესა და ღამის შემდეგ მზემ გამოანათა. _____
5. ბიჭს თავისი ტანსაცმელის მოვლა ძალიან უყვარდა. _____
6. პერსონაჟის თავგადასავალის გაგება ძალიან საინტერესოა. _____
—
7. ბავშვებმა სახსე ტომარის წაღება გადაწყვიტეს. _____
8. მეომარმა ცხენს თავი მზესკენ მიაბრუნებინა. _____
9. ოჯახმა ძალიან თავშესაფარიდან წამოიყვანა. _____
10. დაღლილი მეთევზე ნიჩაბის მოსმას პლივსლა ახერხებდა. _____
—

(4 ქულა) 3. დააწვილეთ სინონიმები:

მხდელი გამბედავი ბეჯითი მორიდებული მშიშარა თამამი შრომისმოყვარე მორცხვი

1. _____
2. _____
3. _____
4. _____

(4 ქულა) 4. დააწვილეთ ანტონიმები:

მწარე ხელგაშლილი ღონიერი მარტივი ძუნწი ტკბილი რთული სუსტი



1. _____
2. _____
3. _____
4. _____

(2 ქულა) 5. შემოხაზეთ მყარი შესიტყვების სწორი განმარტება.

1. მხარში ამოუდგა ნიშნავს:

- ა) ასახელა
- ბ) დაეხმარა
- გ) დააფასა

2. გონება გაუნათდა ნიშნავს:

- ა) მეტად დაფიქრდა
- ბ) ძალიან გაუხარდა
- გ) უეცრად მიხვდა